




საქართველოს ეკონომიკის გაუმჯობესება რუსეთზე დაწესებული სავაჭრო რისკო სამართლის უწყვეტად

ავტორები: გივი ადგიშვილი | მარიამ საღარეიშვილი | ნინო პეტრიაშვილი



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შინაარსი	3
შესავალი	4
მოკლე შეჯამება:	5
ეკონომიკის დანაკარგები	6
საგარეო ვაჭრობა: ექსპორტი მოსალოდნელია იმპორტზე უფრო მეტად შემცირდეს	7
ფულადი გზავნილები: რუსეთზე დამოკიდებულება მკვეთრად მცირდება	9
ტურიზმი: შემოსავალი ტურიზმიდან გაიზრდება 2022 წელს და მოსალოდნელია 2019 წლის მაჩვენებლის დაახლოებით ნახევარი შეადგინოს	10
ინვესტიციები: რეგიონში გაზრდილი რისკები უარყოფითად აისახება ინვესტიციებზე მოკლევადიან პერიოდში, თუმცა გზას უხსნის ახალ შესაძლებლობებს	11
ენერგეტიკა: რუსეთის ჩანაცვლება მეზობელი და მეგობარი ქვეყნებით უნდა მოხდეს	14
რეკომენდაციები	15

შესავალი

რუსეთის მხრიდან გამოვლენილმა აგრესიამ უკრაინის მიმართ და რეგიონში საომარი მოქმედებების დაწყება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. მიმდინარე მიმოხილვაში, მოცემულია საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულება მეზობელი ქვეყნის და მეგობარი ქვეყნის ეკონომიკების მიმართ. კვლევა ასახავს: ვაჭრობის, ფულადი გზავნილების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ენერგეტიკული ბაზრის არსებულ მდგომარეობას და მოსალოდნელ დინამიკას.

საქართველოს ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულების შეფასება მოგვცემს საშუალებას მოვახდინოთ მიმდინარე გამოწვევების იდენტიფიცირება და ხელი შევუწყოთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდას. არსებული შესაძლებლობების გამოვლენა დაგვეხმარება უფრო მეტად მოვახდინოთ კონცენტრირება ქვეყნისათვის საჭირო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე და გავზარდოთ საჯარო პოლიტიკის ეფექტურობა, რომ დავძლიოთ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური გამოწვევები.

კვლევაში განხილული საშუალო სცენარი არ მოიაზრებს რუსეთისათვის, როგორც აგრესორი ქვეყნისათვის დამატებითი შეზღუდვების დაწესებას საქართველოს მხრიდან და განხილულია ეკონომიკური ზეგავლენა არსებული სანქციების პირობებში. შეზღუდვების სცენარი განიხილავს შესაძლებლობას საქართველომ დაუწესოს სავიზო რეგულაციები რუსეთის მოქალაქეებს გაზრდილი საფრთხეების პირობებში, და მოახდინოს მონიტორინგი კაპიტალის თავისუფალ მოძრაობაზე. აღნიშნულს მოსალოდნელია მოჰყვეს შეზღუდვები ვაჭრობის მიმართულებით.

საქართველოს ეკონომიკის მოსალოდნელი დანაკარგები რუსეთისათვის დაწესებული დამატებითი შეზღუდვების გარეშე -114 მლნ. აშშ დოლარს აღწევს და დამატებითი შეზღუდვების დაწესების შემთხვევაში, რომელიც უსაფრთხოების და ეკონომიკის დივერსიფიცირების ჭრილში შეგვიძლია განვიხილოთ, ეკონომიკის დანაკარგებს -500 მლნ. აშშ დოლარამდე ზრდის. -386 მლნ. აშშ დოლარის დამატებითი დანაკარგი, რომელიც 2021 წლის მშპ-ს მხოლოდ 2%-ს შეადგენს, შესაძლებელია ანაზღაურდეს დასავლეთის პარტნიორებთან საქართველოს უფრო მჭიდრო თანამშრომლობით.

მოკლე შეჯამება:

2022 წელს საქართველოს ეკონომიკამ მოსალოდნელია დაახლოებით -114 მლნ. აშშ დოლარით იზარალოს საშუალო სცენარით და -500 მლნ. აშშ დოლარით შეზღუდვების სცენარით. ექსპორტის, ფულადი გზავნილების და ინვესტიციების კლებას აკომპენსირებს ფულადი შემოდინებების ზრდა ტურიზმის სექტორში და იმპორტის შემცირება, რომელიც ამცირებს ფულად გადინებას ქვეყნიდან.

2022 წელს, ექსპორტი მოსალოდნელია დაახლოებით 7%-ით შემცირდეს (-300 მლნ. აშშ. დოლარი), 2021 წელთან შედარებით. შემცირება ძირითადად რუსეთის (-50%), ბელარუსის (-33%) და უკრაინის (-50%) მიმართულებით არის მოსალოდნელი. სხვა ქვეყნებში ექსპორტის ზრდა მცირედით შეარბილებს შემცირების ეფექტს. შეზღუდვების სცენარის შემთხვევაში ექსპორტი -525 მლნ. აშშ დოლარით შემცირდება.

2022 წელს, ექსპორტის შემცირებასთან ერთად მოსალოდნელია იმპორტიც შემცირდეს დაახლოებით 174 მლნ. აშშ დოლარით (-450 მლნ. აშშ დოლარი შეზღუდვების სცენარით). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება და შემცირებული ეკონომიკური აქტივობა ამცირებს იმპორტს. თუმცა, ქვეყანაში გაზრდილი ვიზიტების რაოდენობა და ხანგრძლივობა მცირედით აკომპენსირებს აღნიშნულ შემცირებას.

მიმდინარე წელს რუსეთიდან ფულადი გზავნილების თითქმის განულების შემთხვევაშიც კი საქართველოს ეკონომიკას 89 მლნ. აშშ დოლარზე მეტი არ დააკლდება საშუალო სცენარით (-116 მლნ. აშშ დოლარი შეზღუდვების სცენარით) და ჯამში ფულადი გზავნილები 4%-ზე მეტად არ შემცირდება. რუსეთზე დამოკიდებულება ფულადი გზავნილების შემთხვევაში მკვეთრად მცირდება 2008 წლიდან. რუსეთის წილი ფულად გზავნილებში 65%-დან 16%-მდე შემცირდა აღნიშნულ პერიოდში და მოსალოდნელია კიდევ უფრო შემცირდეს 2022 წელს.

ტურიზმის სექტორის შემოსავლები მოსალოდნელია +456 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდოს 2022 წელს (+153 მლნ. აშშ დოლარი შეზღუდვების სცენარით), 2021 წელთან შედარებით. ჯამურმა შემოსავალმა მოსალოდნელია 1.7 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინოს (რუსეთის მოქალაქეების წილი 27%). იზრდება შემომავალი ვიზიტორების რაოდენობა და დარჩენის ხანგრძლივობა.

რუსეთიდან იმპორტირებული ელ. ენერგია მეზობელი და მეგობარი ქვეყნებიდან შეიძლება ჩანაცვლდეს. ელ. ენერგიის იმპორტი რუსეთიდან ჯამურ მოხმარებაში 9%-ს შეადგენდა 2021 წელს და მოსალოდნელია უმტკივნეულოდ ჩანაცვლდეს მეგობარი ქვეყნებიდან იმპორტის ზრდის ხარჯზე.

რეგიონში გაზრდილი რისკების შედეგად მოსალოდნელია მიმდინარე წელს ინვესტიციების შემცირება -350 მლნ. აშშ დოლარით (-450 მლნ. აშშ დოლარი შეზღუდვების სცენარით), რაც შეიძლება დაკომპენსირდეს აშშ-თან და ევროპის ქვეყნებთან გაზრდილი ინტეგრაციის ხარჯზე.

ეკონომიკის დანაკარგები


ეკონომიკის დანაკარგების ანალიზისას განვიხილავთ საშუალო და შეზღუდვების სცენარს:

- საშუალო სცენარი არ მოიაზრებს რუსეთისათვის, როგორც აგრესორი ქვეყნისათვის დამატებითი შეზღუდვების დაწესებას საქართველოს მხრიდან და განხილულია ეკონომიკური ზეგავლენა არსებული სანქციების პირობებში.
- შეზღუდვების სცენარი განიხილავს შესაძლებლობას საქართველომ დაუწესოს სავიზო რეგულაციები რუსეთის მოქალაქეებს გაზრდილი საფრთხეების პირობებში, და მოახდინოს მონიტორინგი კაპიტალის თავისუფალ მოძრაობაზე. აღნიშნულს მოსალოდნელია მოჰყვეს შეზღუდვები ვაჭრობის მიმართულებით.

საშუალო სცენარი: საქართველოს მთავრობა არ აწესებს დამატებით შეზღუდვებს.

2022 წელს, საქართველოს ეკონომიკის მოსალოდნელი დანაკარგი 114 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს საშუალო სცენარით. დანაკარგს ძირითადად განაპირობებს ინვესტიციების, ექსპორტის და ფულადი გზავნილების მოსალოდნელი შემცირება. აღნიშნულს მცირედით აკომპენსირებს, სანქციების შედეგად, მოსაზღვრე ქვეყნიდან შემომავალი რუსეთის მოქალაქეების და მათი დანახარჯების მოსალოდნელი ზრდა, რომელიც აისახება ტურიზმის სექტორში და იმპორტის შემცირება.

გრაფიკი 1: ეკონომიკის მოსალოდნელი დანაკარგები საშუალო სცენარით 2022




წყარო: IDFI

მკაცრი შეზღუდვების სცენარი: საქართველოს მთავრობა აწესებს სავიზო მიმოსვლას რუსეთთან, წყდება ვაჭრობა და ხორციელდება მკაცრი მონიტორინგი კაპიტალის თავისუფალ მოძრაობაზე.

აღნიშნული სცენარით 2022 წელს, საქართველოს ეკონომიკის მოსალოდნელი დანაკარგი დაახლოებით 500 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. აქ გათვალისწინებულია, რომ სავიზო შეზღუდვები შეამცირებს შემოსავალს რუსეთის მოქალაქეებისგან, რუსეთიდან ფულადი გზავნილები აპრილის შემდეგ აღარ განხორციელდება და შეიზღუდება

რუსეთთან ვაჭრობა, რაც შეამცირებს ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებს. თუმცა, იმპორტის შემცირება და ახალი ბაზრების ათვისება გარკვეულწილად აკომპენსირებს დანაკარგებს.


გრაფიკი 2: ეკონომიკის მოსალოდნელი დანაკარგები შეზღუდვების სცენარით 2022



წყარო: IDFI

საგარეო ვაჭრობა: ექსპორტი მოსალოდნელია იმპორტზე უფრო მეტად შემცირდეს
ექსპორტის კონცენტრაციის ინდექსის მიხედვით საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება მკვეთრად გაზრდილია 2012 წლიდან. ექსპორტის კონცენტრაცია ევროკავშირში მცირდება, ძირითადად რუსეთში და ჩინეთში ექსპორტის ზრდის ხარჯზე. საერთო ჯამში, საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ იცვლებოდა ბოლო წლებში. თუმცა, რუსეთზე მაღალი დამოკიდებულებით ჩვენი ექსპორტიორები აშკარა საფრთხის წინაშე დგანან, რომ გაუქირდებათ ახალი ბაზრის ათვისება მოკლევადიან პერიოდში.

გრაფიკი 3: ექსპორტის კონცენტრაციის ინდექსი* 2011-2021




წყარო: საქსტატი, IDFI


შენიშვნა: * დათვლილია პერფინალ ჰირშმანის ინდექსის მეთოდოლოგიით.

2021 წელს, რუსეთიდან ჯამში ერთი მლრდ. აშშ დოლარის საქონლის იმპორტი და 600 მლნ. აშშ დოლარის საქონლის ექსპორტი განხორციელდა. რუსეთიდან იმპორტის ჩანაცვლება შედარებით ძვირი დაჯდება. თუმცა, ეს საქართველოს ეკონომიკის თავისუფლებისათვის გადახდილი ფასი იქნება.

გრაფიკი 4: იმპორტი რუსეთიდან 2021




გრაფიკი 5: ექსპორტი რუსეთში 2021



წყარო: საქსტატი, IDFI

2022 წელს, ექსპორტი მოსალოდნელია დაახ. 7%-ით შემცირდეს, 2021 წელთან შედარებით. შემცირება ძირითადად რუსეთის (-50%), ბელარუსის (-33%) და უკრაინის (-42%) მიმართულებით არის მოსალოდნელი. სხვა ქვეყნებში ექსპორტის ზრდა მცირედით შეარბილებს შემცირების ეფექტს. თუმცა, საერთო ჯამში ეკონომიკას მოსალოდნელია 300 მლნ. აშშ დოლარი დააკლდეს საშუალო სცენარით (-525 მლნ. აშშ დოლარი შეზღუდვების სცენარით).


გრაფიკი 6: საქართველოს ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი, IDFI

2022 წელს, ექსპორტის შემცირებასთან ერთად მოსალოდნელია იმპორტიც შემცირდეს დაახლოებით 174 მლნ. აშშ დოლარით (-2% წ.წ.) საშუალო სცენარით (-449 მლნ. აშშ დოლარი შეზღუდვების სცენარით). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება და შემცირებული ეკონომიკური აქტივობა ამცირებს იმპორტს. თუმცა, ტურიზმის შემოსავლების მოსალოდნელი ზრდა აკომპენსირებს აღნიშნულ შემცირებას. ასევე, რუსეთის, ბელარუსის და უკრაინის ჩანაცვლების შედეგად მოსალოდნელია იმპორტირებული საქონლის ფასის ზრდა საშუალოდ 20%-ით.

გრაფიკი 7: საქართველოს იმპორტი (მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი, IDFI

ფულადი გზავნილები: რუსეთზე დამოკიდებულება მკვეთრად მცირდება

მიმდინარე წელს რუსეთიდან ფულადი გზავნილების თითქმის განულების შემთხვევაშიც კი საქართველოს ეკონომიკას 89 მლნ. აშშ დოლარზე მეტი არ დააკლდება და ჯამში ფულადი გზავნილები 4%-ზე მეტად არ შემცირდება საშუალო სცენარით (-116 მლნ. აშშ დოლარი შეზღუდვების სცენარით). რუსეთზე დამოკიდებულება ფულადი

გზავნილების შემთხვევაში მკვეთრად მცირდება 2008 წლიდან. რუსეთის წილი ფულად გზავნილებში 65%-დან 16%-მდე შემცირდა აღნიშნულ პერიოდში და მოსალოდნელია კიდევ უფრო შემცირდეს 2022 წელს.

გრაფიკი 8: ფულადი გზავნილები 2011-2022წ




წყარო: საქსტატი, IDFI

ტურიზმი: შემოსავალი ტურიზმიდან გაიზარდა 2022 წელს და მოსალოდნელია 2019 წლის მაჩვენებლის დაახლოებით ნახევარი შეადგინოს

ტურიზმის სექტორის შემოსავლები საშუალო სცენარით მოსალოდნელია 456 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდოს 2022 წელს (+153 მლნ. აშშ დოლარი შეზღუდვების სცენარით), 2021 წელთან შედარებით და 1.7 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინოს. სანქციების შედეგად, მოსაზღვრე ქვეყნიდან შემომავალი რუსეთის მოქალაქეების დანახარჯებმა მოსალოდნელია 450 მლნ. აშშ დოლარი შეადგინოს საშუალო სცენარით (მთლიანი ტურისტული დანახარჯების 27%). შეზღუდვების სცენარის შემთხვევაში დანახარჯები 150 მლნ. აშშ დოლარამდე მცირდება. რუსეთის მოქალაქეების დანახარჯების ზრდა გამოწვეულია შემოსვლების რაოდენობის და დარჩენის ხანგრძლივობის ზრდით. პარალელურად, კოვიდ პანდემიის დასრულებასთან ერთად გაიზარდა ტურიზმის შემოსავლები (რუსეთის მოქალაქეების გაუთვალისწინებლად) 1.2 მლრდ. აშშ დოლარამდე.

გრაფიკი 9: შემოსავლები ტურიზმიდან (მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: სეზ, საქსტატი, IDFI

ინვესტიციები: რეგიონში გაზრდილი რისკები უარყოფითად აისახება ინვესტიციებზე მოკლევადიან პერიოდში, თუმცა გზას უხსნის ახალ შესაძლებლობებს

რეგიონში გაზრდილი რისკების შედეგად მოსალოდნელია მიმდინარე წელს ინვესტიციების შემცირება -30%-ით, რის შედეგადაც ეკონომიკას დაახ. 350 მლნ. აშშ დოლარი დააკლდება საშუალო სცენარით (-461 მლნ. აშშ დოლარი შეზღუდვების სცენარით). პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში რუსეთის წილი ბოლო წლებში უმნიშვნელოა და საშუალოდ 5%-ია. შესაბამისად, მიმდინარე წელს რუსეთიდან ინვესტიციების განულება ეკონომიკას დიდად ვერ დააზარალებს. თუმცა, სხვა ქვეყნებიდან ინვესტიციების მოსალოდნელი შემცირება მნიშვნელოვანია.

რუსეთიდან გამოსული კომპანიების მოზიდვა ახალ შესაძლებლობას წარმოადგენს. აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელია რეფორმების გატარება და მთავრობის მხრიდან სწორი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.


გრაფიკი 10: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი, IDFI

ბიზნესის განწყობის ინდექსი მაღალ კორელაციაშია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან. ბოლო წლებში ბიზნესის განწყობის ინდექსი გაუარესებულია რაც COVID-19 პანდემიასთან ერთად საინვესტიციო გარემოს გაუარესებაზე მეტყველებს. არასტაბილური პოლიტიკური გარემო, ინვესტორებთან არსებული სამართლებრივი დავები, შეფერხებები მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის ნაკლებობა და ქვეყნიდან გადინება ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას ამცირებს.

გრაფიკი 11: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი) და ბიზნესის განწყობა



წყარო: ISET-PI, საქსტატი, IDFI

მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია რუსული ინვესტიციების სხვადასხვა ოფშორული ქვეყნებიდან შემოდინებაც. დღეის მდგომარეობით, რთულია ოფშორული ზონებიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი სხვადასხვა ინვესტორი ქვეყნის მიხედვით. თუმცა, 2020 და 2021 წლის ანალიზი გვაჩვენებს, რომ ინვესტიციები ოფშორული ზონებიდან მკვეთრად შემცირდა და -320 და -44 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. გარკვეული ქვეყნებიდან უარყოფითი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სურათი 2020 და 2021 წლებში შესაძლებელია გამოწვეული იყოს როგორც ფინანსური რესურსების გადინებით საქართველოდან აღნიშნულ ქვეყნებში, ასევე, ინვესტიციების განმახორციელებელი საწარმოს საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში გადასვლა. აღნიშნულის შემდეგ ინვესტიცია აღარ ჩაითვლება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციად..

ცხრილი 1: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი) ოფშორული ზონებიდან

ქვეყანა	2016	2017	2018	2019	2020	2021
კვიპროსი	-6.5	12.9	-86.4	23.7	-42.7	-27.7
ბაჰამები	0.0	0.1	0.2	-2.8	-3.4	0.1
ბელიზი	6.6	2.1	3.2	-11.2	-12.7	-39.8
ვირჯინიის კ-ები	37.3	-23.0	-49.0	-34.7	-69.7	-11.6
კაიმანის კ-ები	8.7	-1.6	3.1	-3.7	3.0	2.5
გიბრალტარი	0.5	1.9	1.0	1.2	0.4	-1.4
ლიბანი	0.5	2.4	1.4	2.2	4.6	0.9
ლიხტენშტაინი	5.6	2.9	1.9	0.5	1.0	-0.3
მავრიკი	6.2	-7.8	1.7	4.0	-0.5	-0.2
მარშალის კ-ები	4.2	2.9	1.9	34.0	6.8	21.3
პანამა	77.7	27.2	77.0	76.8	-210.1	-7.7
ფილიპინები	0.0	0.0		0.0	0.0	0.1
სეიშელი	-4.5	5.2	3.4	3.1	-0.9	19.8
სულ	136.2	25.0	-40.6	93.1	-324.2	-43.9


წყარო: ISET-PI, სექსტატი, IDFI

საერთო ჯამში, რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გათვალისწინებით, საქართველოში ფულის გათეთრების რისკები გაზრდილია. ევროკავშირმა, გაერთიანებულმა სამეფომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ აკრძალეს ყველანაირი ტრანზაქციები რუსეთთან. აღსანიშნავია, ის ფაქტიც რომ, სანქციები შეეხო რუსეთის ბანკებს, რომლებიც გამოეთიშნენ SWIFT-ის საერთაშორისო გადახდების სისტემიდან. ასევე, იაპონიამ განაცხადა, რომ დაუწესებს შეზღუდვებს ტრანზაქციებზე რუსეთის ცენტრალურ ბანკს. ამავდროულად, ახალი ზელანდიის, ტაივანისა და ავსტრალიის სახელმწიფოებმა შემოიღეს შეზღუდვები აგრესორი ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც მოცავს ვაჭრობის შეწყვეტასა და სხვა და სხვა ეკონომიკურ სანქციებს რუს ოლიგარქებზე.

ენერგეტიკა: რუსეთის ჩანაცვლება მეზობელი და მეგობარი ქვეყნებით უნდა მოხდეს

რუსეთიდან იმპორტირებული ელ. ენერგია მეზობელი და მეგობარი ქვეყნებიდან შეიძლება ჩანაცვლდეს, სურვილის შემთხვევაში. ელ. ენერგიის იმპორტი რუსეთიდან ჯამურ მოხმარებაში არ არის მაღალი და მოსალოდნელია უმტკივნეულოდ ჩანაცვლდეს სხვა ქვეყნებიდან იმპორტის ზრდის ხარჯზე. საქართველოს დამოუკიდებლობის ხარისხი ელ. ენერგიის სექტორში მაღალია. რუსეთიდან იმპორტირებული ელ. ენერგიის წილი ბოლო წლებში იზრდებოდა და ჯამურ მოხმარებაში მაქსიმუმს 2021 წელს მიაღწია, ისიც აფხაზეთის ზრდადი ელ. ენერგიის მოხმარების და ენგურჰესის რეაბილიტაციის გათვალისწინებით.

გრაფიკი 12: ელ. ენერგიის მოხმარება (ტვტ. სთ.) და რუსეთის წილი ჯამურ მოხმარებაში (აფხაზეთის ჩათვლით)



წყარო: ESCO, IDFI

რეკომენდაციები

რუსეთიდან იმპორტის ჩანაცვლება მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიცირებისათვის და მთავრობის აქტიურ ჩართულობას მოითხოვს. საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება დამოკიდებულია საექსპორტო საქონლის ხარისხის ზრდაზე, ახალი ბაზრის მოძიებაზე და მნიშვნელოვან ხელშეწყობას მოითხოვს.

ექსპორტის კონცენტრაციის ინდექსის მიხედვით, საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება მკვეთრად გაზრდილია 2012 წლიდან. აღნიშნული ევროკავშირის ბაზრის ჩანაცვლების ხარჯზე განხორციელდა. შესაბამისად, მეწარმეები მაღალი რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ და მოსალოდნელია მნიშვნელოვანი დანაკარგები მიიღონ მიმდინარე წელს.

აუცილებელია ქვეყანამ დააჩქაროს ევროკავშირთან ინტეგრაცია და გადადგას ქმედითი ნაბიჯები საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის, სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ.

არასტაბილური პოლიტიკური გარემო, ინვესტორებთან არსებული სამართლებრივი დავები, შეფერხებები მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის ნაკლებობა და ქვეყნიდან გადინება ქვეყანას ინვესტორებისთვის ნაკლებად მიმზიდველად წარმოაჩენს და მნიშვნელოვნად ამცირებს სივრცეს რუსეთიდან გადინებული კაპიტალის ჩვენი ქვეყნის მიმართ დაინტერესების.

2021 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მკვეთრად არის შემცირებული და ბიზნესის განწყობის ინდექსი გაუარესებულია ბოლო წლებთან შედარებით. ასევე, რეგიონში გაზრდილი რისკების შესაბამისად მოსალოდნელია ინვესტიციების დამატებით შემცირება 2022 წელს.

მნიშვნელოვანია დაწესდეს მკაცრი მონიტორინგი კაპიტალის თავისუფალ მოძრაობაზე აგრესორ ქვეყანასთან მიმართებით და შესაბამისი შეზღუდვები არსებული საფრთხეების საპასუხოდ.

საქართველოს მთავრობამ, ეროვნულმა ბანკმა და კომერციულმა სექტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების პარალელურად, საქართველოს მიმართ იზრდება რეპუტაციული რისკები და ფულის გათეთრების საფრთხე. აღნიშნული შესაძლოა ქვეყნისათვის გაცილებით დიდი ზარალის საფრთხეს შეიცავდეს, ცალკეულ შეზღუდვებთან შედარებით.

ევროკავშირმა, გაერთიანებულმა სამეფომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ აკრძალეს ყველანაირი ტრანზაქციები რუსეთთან. სანქციები შეეხო რუსეთის ბანკებს, რომლებიც გამოეთიშნენ SWIFT-ის საერთაშორისო გადახდების სისტემიდან. ამავდროულად, იაპონიის, ახალი ზელანდიის, ტაივანისა და ავსტრალიის სახელმწიფოებმა შემოიღეს შეზღუდვები აგრესორი ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც მოიცავს ვაჭრობის შეწყვეტასა და სხვა და სხვა ეკონომიკურ სანქციებს რუს ოლიგარქებზე.



ტ. შევჩენკოს ქ. 20, 0108,
თბილისი, საქართველო



+ 995 32 292 15 14



info@idfi.ge



www.idfi.ge